სოციალური მომსახურების სააგენტო

ქ. თბილისი

მაისი 2022 წელი

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საბანკო მომსახურების
შესყიდვის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №2

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

თამილა ბარკალაია ——— სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

კომისიის წევრები:

გიორგი ჭანტურია ——— სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გიორგი გელაშვილი ——— სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

ავთანდილ ვასაძე ——— სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

გია აფხაზავა ——— სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის უფროსი;

ალექსანდრე ვაშალომიძე ——— სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;

ტარიელ იშხნელი ——— სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

აპარატის წევრი:

სოფიო მიქაია ——— სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;.

მოწვეული პირების სახით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №1290 განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრები:

ზურაბ აზარაშვილი ——— საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ლაშა ხუციშვილი ——— საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

პაპუნა ლეჟავა ——— საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი;

რევაზ ჯაველიძე ——— საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;

ირაკლი ზარქუა ——— საქართველოს პარლამენტის წევრი;

პაატა მანჯგალაძე ——— საქართველოს პარლამენტის წევრი.

დღის წესრიგი:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიანი ტენდერში **(MEP220000003)** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების

ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენის პროცესის, ფასის დაფიქსირებისა და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა/შეფასება.

განხილვა:
აღინიშნა, რომ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ორეტაპიანი ტენდერში **(MEP220000003)** მონაწილეობა მიიღო **სს „ლიბერთი ბანკმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304)**, პრეტენდენტის მიერ არ განხორციელებულა ფასის კლება და სატენდერო წინადადების ფასი პრეტენდენტმა დაფიქსირდა 105,000,000.00 (ასხუთი მილიონი) ლარი.

ასევე აღინიშნა, რომ სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ არ შემცირებულა თვლადი კრიტერიუმით განსაზღვრული (სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებლებს) პროცენტული პუნქტი, რომლის მაქსიმალური ზღვარი სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად შეადგენს 15 (თხუმეტი) პროცენტულ პუნქტს.

სატენდერო კომისიამ აღნიშნა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მე-7 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრული იყო მოთხოვნები საბანკო დაწესებულების მიმართ, კერძოდ:

7.1. საბანკო დაწესებულებას უნდა ფლობდეს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვას (საბანკო საქმიანობის ლიცენზია), რომელიც უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით.

7.2. საბანკო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო საქმიანობის მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება, აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის წერილობითი დადასტურება.

7.3. საბანკო დაწესებულებას, მომსახურების დაწყების პერიოდისათვის (2023 წლის 01 იანვარი) უნდა გააჩნდეს/ფლობდეს საქართველოს ყველა ქალაქსა, რეგიონსა და მუნიციპალიტეტში (რაიონში) საბანკო წერტილებს (რაც მოიცავს ფილიალებს/სერვის ცენტრებს და ბანკომატებს). აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საბანკო წერტილების ადგილმდებარეობების შესახებ, შესაბამისი მისამართების მითითებით. ამასთან, უძრავი ქონების საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხოლო სარგებლობის (ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი, უზუფრუქტი და/ან სხვა) შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას გაფორმებული ხელშეკრულებები. იმ შემთხვევაში თუ საბანკო დაწესებულებას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია/ფლობს საქართველოს რომელიმე ქალაქში, რეგიონში ან მუნიციპალიტეტში (რაიონში) საბანკო წერტილებს, მან სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით დადასტურებული გეგმა-გრაფიკი საბანკო წერტილების შექმნის თაობაზე. ამასთან, გეგმაგრაფიკში საბანკო წერტილების შექმნის საბოლოო თარიღი განსაზღვრული უნდა იყოს არაუგვიანეს 2022 წლის 30 ნოემბრისა.

7.4. საბანკო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს „ფულადი გასაცემლების“ დარიგებისათვის ეფექტური საბარათე ინფრასტრუქტურა.

7.5. საბანკო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს/ფლობდეს რაიონული სერვის ცენტრებიდან ხუთი და მეტი კილომეტრით დაშორებული დასახლებული პუნქტების მობილური სერვის ცენტრებით მომსახურების („ფულადი გასაცემელის“ თანხებისა და საბანკო სერვისების ადგილზე მიღება) და/ან ამ სერვისის დანერგვის შესაძლებლობა, რომლის თაობაზეც სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ და/ან სერვისის დანერგვის გეგმაგრაფიკი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.6. საბანკო დაწესებულებამ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს წინადადება, როგორი სახით უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში პიკური ორი-სამი დღის განმავლობაში დამატებითი დროებითი მომსახურების ცენტრების მოწყობას რაიონებსა და სოფლებში, მაღაზიებსა და სხვადასხვა თავშეყრის ადგილებზე.

7.7. საბანკო დაწესებულების ფილიალებსა და სერვის ცენტრებში განთავსებული უნდა იყოს თვითმომსახურების ტერმინალები ნულოვანი ტარიფის მომსახურებით, რომლის თაობაზეც უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

7.8. საბანკო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში პიკური ორი-სამი დღის განმავლობაში დამხმარე პერსონალის განთავსება ბანკომატებთან და თვითმომსახურების ტერმინალებთან, რომლის თაობაზეც უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ამასთანავე კომისიაზე აღინიშნა, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მე-12 მუხლის შესაბამისად:

12.5. ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციის ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან/და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა არ არის სავალდებულო.

ამასთან, პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადებისას რომელიმე პირობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მისი ქმედება განიხილება როგორც უარი ხელშეკრულების დადებაზე.

კომისიამ განიხილა **სს „ლიბერთი ბანკი“**-ს მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ის სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ:

პრეტენდენტის მიერ, ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ იქნა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დადასტურებული სატენდერო დოკუმენტაციით განსაზრვრული მოთხოვნების შესაბამისად:

- ფასების ცხრილი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვა (საბანკო საქმიანობის ლიცენზია);
- საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო საქმიანობის მინიმუმ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილების შესახებ საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის წერილობითი დასტური;
- საქართველოს ყველა ქალაქსა, რეგიონსა და მუნიციპალიტეტში (რაიონში) საბანკო წერტილების (რაც მოიცავს ფილიალებს/სერვის ცენტრებს და ბანკომატებს) საკუთრების/ფლობის შესახებ დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია „ფულადი გასაცემლების“ დარიგებისათვის ეფექტური საბარათე ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია რაიონული სერვის ცენტრებიდან ხუთი და მეტი კილომეტრით დაშორებული დასახლებული პუნქტების მობილური სერვის ცენტრებით მომსახურების შესაძლებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაცია/დასტური, „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში პიკური ორი-სამი დღის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, რაიონებსა და/ან სოფლებში, მაღაზიებსა და სხვადასხვა თავშეყრის ადგილებზე დამატებითი დროებითი მომსახურების ცენტრების მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია, საბანკო დაწესებულების ფილიალებსა და სერვის ცენტრებში განთავსებული, თვითმომსახურების ტერმინალების ნულოვანი ტარიფით მომსახურების შესახებ;
- ინფორმაცია, „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში პიკური ორი-სამი დღის განმავლობაში დამხმარე პერსონალის განთავსების თაობაზე ბანკომატებთან და თვითმომსახურების ტერმინალებთან.

კომისიის სხდომაზე მოწვეული წევრებმაა მადლობა გადაუხადეს კომისიას გაწეული მუშაობისათვის.

კომისიამ დაადგინა:

1. სს „ლიბერთი ბანკი“ - ს მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სს „ლიბერთი ბანკი“ გამოვლინდეს გამარჯვებულად სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად.

3. სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს პირველი მუხლის და სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 31-ე მუხლის შესაბამისად, სს „ლიბერთი ბანკი“ მოწვეულ იქნეს ხელშეკრულების გასაფორმებლად, შეტყობინების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან, არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების გაფორმებამდე სს „ლიბერთი ბანკმა“ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო/სადაზღვევო გარანტია. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ - „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

5. **დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს:**

ა) შეტყობინების გაგზავნა, სს „ლიბერთი ბანკ“-თან, რათა მოწვეულ იქნეს ხელშეკრულების გასაფორმებლად, შეტყობინების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ბ) ატვირთოს წინამდებარე ოქმი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელმოწერისთანავე.

გ) წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტ(ებ)ისთვის შეტყობინებად და პრეტენდენტ(ებ)ს შეტყობინება გაეგზავნოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის

შესაბამის მოდულში ატვირთვის გზით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება წინამდებარე ოქმის სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

კომისიის სხდომის ოქმი კომისიის წევრების მიერ დამტკიცებულ იქნა.

კომისიის თავმჯდომარე:
თამილა ბარკალაია

კომისიის წევრები:

გიორგი ჭანტურია

გიორგი გელაშვილი

ავთანდილ ვასაძე

გია აფხაზავა

ალექსანდრე ვაშალომიძე

ტარიელ იშხნელი

მოწვეული პირები:

ზურაბ აზარაშვილი

ლაშა ხუციშვილი

პაპუნა ლეჟავა

რევაზ ჯაველიძე

ირაკლი ზარქუა

პაატა მანჯგალაძე

კომისიის აპარატის წევრები:

სოფიო მიქაია

ოქმი გააფორმა:
ს. მიქაიამ

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY

Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2022.05.20 12:18:14 +04'00'